

6/13/13

GRASSBRIEF 2013/1

POLICY BRIEF

პოლისი ბრიფი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებებისა და დამატებების ანალიზი და ამ ცვლილებების სავარაუდო გავლენა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტზე

რეზიუმე:

2013 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით შევიდა საკანონმდებლო ინიციატივა „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. 2013 წლის 11 ივნისს საქართველოს პარლამენტმა პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მე-3 პუნქტის შესაბამისად დაიწყო კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ცვლილებების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს უნივერსიტეტის ავტონომიურობის

შეზღუდვა, რექტორის არჩევნების პოლიტიზაცია და დეკანის თანამდებობაზე განსახილველი კანდიდატების რაოდენობის და ხარისხის გაუმართლებელი შეზღუდვა. უნივერსიტეტში თანამდებობრივი სარგოების გადახედვა/გათანაბრებამ შესაძლოა გააჩინოს კორუფციული გარიგებების და მექანიზმების აღმოცენების საფრთხე, ხოლო ასისტენტ პროფესორი დოქტორანტებისთვის სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წყვეანის აკრძალვამ შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის

ჩავარდნა, უკიდურეს შემთხვევაში კი ზოგიერთი მიმართულების მთლიანი პარალიზება.

საკითხი 1. პროექტის დაჩქარებული წესით მიღება.

დაუსაბუთებელია კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების მიზანი, მაშინ, როდესაც არ არსებობს საუნივერსიტეტო საზოგადოების კონსენსუსი უმაღლესი განათლების განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით და არ არსებობს არც ერთი სერიოზული საფუძველი სემესტრის ბოლოს ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადასადგმელად. განათლების სამინისტრომ რამდენიმე თვის წინ დაიწყო უმაღლესი განათლების შესახებ კონცეფციის შემუშავება, ჩამოყალიბდა რამდენიმე ხედვა და შეიქმნა კონცეპტუალური ზოგადი დოკუმენტი, თუმცა ამ დოკუმენტის გადათარგმნა კონკრეტულ კონცეფციაში, ან სტრატეგიაში არ მომხდარა. მით უმეტეს, არ მომხდარა ახალი ხედვის განხილვა უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

ამ საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში დაჩქარებული წესით, ერთ კვირაში განხილვა და მიღება ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის თანახმად, „დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას. მოცემულ შემთხვევაში, ამ კანონპროექტის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონპროექტში პირდაპირ არ არის მითითებული, ცალსახად გამოიწვევს ცვლილებების აუცილებლობას კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებებში.

საკითხი 2. უნივერსიტეტის ავტონომიურობის შეზღუდვა და ადმინისტრაციის შეცვლა

ამ საკანონმდებლო ინიციატივის მიღებით რეალურად მოხდება უნივერსიტეტების ავტონომიურობის შეზღუდვა და შეიქმნება შესაძლებლობა, რომ მოხდეს ახალი

ადმინისტრაციის პოლიტიკური ნიშნით შერჩევა. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზანს ისახავს კანონში არსებული ჩანაწერები, რომლის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს ა) არჩეული რექტორების და დეკანების ვადაზე ადრე გათავისუფლება (კანონის პირდაპირი ჩანაწერი); ბ) მოქმედი ადმინისტრაციის ხელმძღვანელების ვადაზე ადრე განთავისუფლება (კანონის შენიღბული ჩანაწერი); და შედეგად სახელმწიფო უნივერსიტეტებზე სრული კონტროლის დამყარება.

რექტორის გათავისუფლება და მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის მიერ: დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის უფლებამოსილი თავად აირჩიოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. 2006 წლამდე ეს პრივილეგია საქართველოს პრეზიდენტს გააჩნდა, თუმცა დღეს უნივერსიტეტის რექტორის არჩევა, მოვალეობის შემსრულებლის ჩათვლით აკადემიური საბჭოს კომპეტენცია. შემოთავაზებული კანონპროექტი ზღუდავს აკადემიური საბჭოს ამ უფლებას. უფრო მეტიც

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1² პუნქტი („აკადემიური საბჭო რექტორის უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს“) პირდაპირ ეწინააღმდეგება შემოთავაზებული კანონპროექტის ცვლილებას რომ კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 3⁸ ქვეპუნქტი, რომელიც ამბობს, რომ განათლების სამინისტრო „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურას“. აკადემიური საბჭოს მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ კანონპროექტში არაფერია ნათქვამი, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამართლებრივი ნორმების კოლიზიის შემთხვევაში, ცალსახაა, რომ გამოყენებული იქნება უფრო გვიან მიღებული სამართლებრივი ნორმა, რაც თავისთავად

გულისხმობს აკადემიური საბჭოსათვის ამ უფლებამოსილების ჩამოშორებას.

ამასთან, ახალი პროექტის მიხედვით თსუ-ის მოქმედი არჩეული რექტორი ვეღარ გააგრძელებს თავისი უფლებამოსილების შესრულებას, რადგან მას არ გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი. კანონპროექტის მიხედვით კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში შედის ცვლილება და დგინდება მოთხოვნა, რომ „რექტორობის კანდიდატად შეიძლება განისაზღვროს პირი, რომელიც ფლობს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს. კანონპროექტის მიხედვით ასევე განისაზღვრა, რომ „კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში შეუწყდეს უფლებამოსილება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის იმ მმართველ სუბიექტებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შესაბამისი თანამდებობების დაკავებისათვის ამ კანონით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“. შესაბამისად, კანონის ძალაში შესვლიდან

30 დღის ვადაში ალექსანდრე კვიციანი ვალდებულია რომ დატოვოს თანამდებობა, რადგან ის არ ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

2013 წლის 12 ივნისის აკადემიური საბჭოს დადგენილებები: კანონზე დისკუსიის დაწყების შემდეგ თსუ-ს რექტორმა ალექსანდრე კვიციანი გადაწყვიტა ნებაყოფლობით დაეტოვებინა თანამდებობა, რაც დააკმაყოფილა აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება 70/2013). თუმცა აკადემიურმა საბჭომ ალექსანდრე კვიციანი დატოვა მოვალეობის შემსრულებლად (დადგენილება 71/2013) რექტორის ახალ არჩევნებამდე, რომელიც 16 აგვისტოს დანიშნა (დადგენილება 72/2013). აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონი დაჩქარებული წესით იქნება მიღებული პარლამენტის მიერ, ის 7 დღის ვადაში უნდა გადაეგზავნოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად. პრეზიდენტს აქვს 10 დღის ვადა, რომ კანონპროექტს ან ხელი მოაწეროს, ან შენიშვნებით დააბრუნოს უკან პარლამენტში. პარლამენტში დაბრუნებულ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს 15

დღის ვადაში. თუ პარლამენტი ითვალისწინებს პრეზიდენტის შენიშვნებს, ამ შემთხვევაში 5 დღის ვადაში უგზავნის პრეზიდენტს და პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონპროექტს მაქსიმუმ 7 დღის ვადაში. თუ პარლამენტი არ მიიღებს პრეზიდენტის შენიშვნებს, მაშინ კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას და მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ამ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი 7 დღის ვადაში არ გამოაქვეყნებს კანონს, მაშინ პარლამენტის თავჯდომარე აწერს მას ხელს და აქვეყნებს 5 დღის ვადაში. ამის შემდეგ 30 დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორი (ამჟამინდელი რედაქციით, არა რექტორობის მოვალეობის შემსრულებელი) უნდა გადადგეს თანამდებობიდან 30 დღის ვადაში, თუ ის არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობა). როგორც ამ კონფიგურაციიდან ჩანს, არსებობს შესაძლებლობა, რომ იმ პირობებშიც კი, რომ თსუ-მ უკვე გამოაცხადა რექტორის არჩევნები, პრემიერ-

მინისტრმა განათლების სამინისტროს წარდგინებით მაინც დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ამჟამინდელი მოვალეობის შემსრულებლის ნაცვლად. ჯერ-ჯერობით რექტორის გადადგომით, აკადემიური საბჭოს მიერ ახალი რექტორის არჩევნების გამოცხადებით და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნით უნივერსიტეტმა მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და განათლების სამინისტროს დაუტოვა არჩევანი, რომ კანონის მიღების შემთხვევაშიც არ ჩაერიოს უნივერსიტეტის შიდა საქმიანობაში. ბუნებრივია, რექტორის ამგვარი გადაწყვეტილების შემდეგ მთავრობას გაუჭირდება აკადემიურ საბჭოსთან ღიად დაპირისპირება, რადგან ეს ნიშნავს უნივერსიტეტის მთავარი კოლეგიალური ორგანოს დელეგატიმაციას და უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის სრულ შეზღუდვას.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
გათავისუფლება:** კანონპროექტით წარმოდგენილი 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ერთი შეხედვით წარმოადგენს უწყინარ დამატებას, მაგრამ,

ეს ნორმა გარანტირებულად გულისხმობს დღეს არსებულ „ა(ა)იპ“-ის სამართლებრივი ფორმის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ხელმძღვანელების თანამდებობიდან განთავისუფლებას დაწესებულებების „სსიპ“-ის სამართლებრივ ფორმაზე გადასვლის შემთხვევაში, რაც არაერთხელ იქნა პირდაპირ თუ ირიბად დაანონსებული საპარლამენტო უმრავლესობის მიერ.

კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია „დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს „ა(ა)იპ“-ის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს, ცალსახად ადგენს, რომ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა

(გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზით, უდავოა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში „ა(ა)იპ“-ის სამართლებრივი ფორმის შეცვლა „სსიპ“-ად ვერ განხორციელდება. ამიტომ, მოქმედი დაწესებულებების „სსიპ“-ის სამართლებრივ ფორმად არსებობის ერთადერთი სამართლებრივი გზა არის მოქმედი „ა(ა)იპ“-ების ლიკვიდაცია და მათი „სსიპ“-ის ფორმით ხელახალი დაფუძნება. შესაბამისად, ლიკვიდაციის წარმოების დაწყებისთანავე ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან მიმართებაში ამოქმედდება შრომის კოდექსის ზემოთხსენებული ნორმა, რაც მოცემული პროექტით ადმინისტრაციის ხელმძღვანელებისათვის წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.

საკითხი 3. უნივერსიტეტის მენეჯმენტისთვის თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა

წარმოდგენილი კანონპროექტით, კანონის მე-15 მუხლს ემატება მე-2¹ პუნქტი, რომლის მიხედვით ხდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მმართველი სუბიექტების (რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და დეკანის) თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა მათი მიზმით აკადემიური პერსონალის ანაზღაურებასთან. სქემატურად ეს შეიძლება შემდეგნაირად აისახოს.

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	1.10 - ასოცირებული პროფესორის სარგო x 1.3
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	ასოცირებული პროფესორის სარგო x 1.10 - ასოცირებული პროფესორის სარგო x 1.3
დეკანი	დაკავებული აკადემიური თანამდებობის სარგო x 1.10 - დაკავებული აკადემიური თანამდებობის სარგო x 1.30

რექტორი	პროფესორის სარგო x 1.15 - პროფესორის სარგო x 1.35
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	პროფესორის სარგო x 1.10 - პროფესორის სარგო x 1.3
უნივერსიტეტის ხარისხის	ასოცირებული პროფესორის სარგო x

ეს ჩანაწერი წარმოადგენს აშკარად ხელოვნურ ჩანაწერს უმაღლესი განათლების შესახებ კანონში და ცალსახად არ არის თავსებადი ამ საკანონმდებლო აქტის და ზოგადად უმაღლესი განათლების მიზნებთან. უფრო მეტიც, ამ ნორმის ამოქმედებას დიდი ალბათობით შეიძლება მოჰყვეს საკმაოდ დიდი პრობლემები

ფინანსური აღრიცხვის, ბიუჯეტის დაგეგმვის და კორუფციის კუთხით.

დღეს არსებული მდგომარეობით თსუ-ს სრული პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1000 ლარით, ხოლო ასოცირებული პროფესორის - 800 ლარით (დადგენილება 7/2012). სხვადასხვა ფაკულტეტებზე ამ თანამდებობრივ სარგოს ემატება განსხვავებული ოდენობის დანამატი (მაქსიმუმ 2400 ლარი), რაც დამოკიდებულია ჩატარებული ლექციების, კვლევის რაოდენობაზე და სხვა კრიტერიუმებზე.

თუ ციფრებში გადავიყვანთ მივიღებთ ანაზღაურების შემდეგ სქემას

რექტორი	1000 x 1.15 – 1000 x 1.35 (1150–1350 ლარი)
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	1000 x 1.10 – 1000 x 1.30 (1100–1300 ლარი)
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	800 x 1.10 – 800 x 1.30 (880–1040 ლარი)

უფროსი	
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	800 x 1.10 – 800 x 1.30 (880–1040 ლარი)
დეკანი (ახალი კანონით, სრული, ასოცირებული პროფესორი)	სრული პროფესორის შემთხვევაში 1100-1300 ლარი ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში 880-1040 ლარი

ბუნებრივია, ამგვარი თანამდებობრივი სარგოს დადგენის შემთხვევაში აუცილებელი გახდება ადმინისტრაციის ქვედა რგოლების, ასევე დეკანის მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების კორექტირება, რათა დაქვემდებარებულ ერთეულს არ ჰქონდეს ზემდგომ ერთეულზე უფრო მაღალი ანაზღაურება. ასეთი ცვლილებები მოახდენს უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ადმინისტრაციის სრულ

დემორალიზაციას და უარყოფითად აისახება საუნივერსიტეტო ცხოვრებასაზე. ამასთან, ანაზღაურებების ასეთი მკვეთრი ვარდნა, თავის მხრივ, აუცილებლად გააჩენს ცდუნებებს, რომ მოხდეს თანხების არამიზნობრივი ხარჯვა.

ამ ახალი ჩანაწერის საუნივერსიტეტო რეალობაზე მორგების მეორე გზა არის დანამატების სისტემის გაუქმება და მისი პირდაპირ გადატანა თანამდებობრივ სარგოში. ამ ალტერნატივის არჩევა გამოიწვევს პროფესორებისთვის განსხვავებული თანამდებობრივი სარგოების ინსტიტუციონალიზაციას და მოუქნელს გახდის პროფესორის ანაზღაურების სისტემას. დღეს დანამატი მიზნულია პროფესორის მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ამ შემთხვევაში კი დანამატი გახდება კონტრაქტის ნაწილი და მისი შეცვლა გართულდება. მაგალითად, თუ პროფესორს ექნება სურვილი, რომ მეორე სემესტრში ჰქონდეს უფრო მაღალი დატვირთვა, ვიდრე წინა სემესტრში, მისთვის გართულდება ამისთვის უფრო მაღალი ანაზღაურების მიღება.

მსგავსი თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა აუცილებლად გამოიწვევს კორუფციის აღდგენას სხვადასხვა ფორმებით. შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური პროფესორების თანამდებობრივი სარგოთი მანიპულირება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ანაზღაურების გაზრდის მიზნით.

ნებისმიერ შემთხვევაში კანონში ამგვარი ჩანაწერი გამოიწვევს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილების, მათ შორის დადგენილება 2012/7-ის გაუქმებას, რაც შემოიტანს ქაოსს პროფესორების ანაზღაურების სისტემაში.

კანონის ამ ნაწილის ძალაში შესვლა შეიძლება გახდეს უნივერსიტეტიდან საუკეთესო კადრების, მათ შორის ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური კადრების გადინების მიზეზი. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს აშკარად ექნება პრობლემა, გაუწიოს კონკურენცია სხვა კერძო უმაღლეს სასწავლებლებს.

საკითხი 4. დეკანის არჩევისთვის კრიტერიუმების დადგენა

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ დეკანად შეიძლება აირჩეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი. ამგვარი ჩანაწერი ავიწროებს იმ ადამიანების წრეს, რომელთაც შეუძლია დეკანობა, კერძოდ, თუ აქამდე დეკანის არჩევნები იყო ღია და ყველა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანს შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება, დღეს ის დავიწროვდა მხოლოდ ე.წ. „შიდა წრეზე“.

მსოფლიოში აღიარებულ პრაქტიკას წარმოადგენს დეკანის თანამდებობისთვის საჯარო ღია კონკურსის წესით კანდიდატების შერჩევა, რაც უზრუნველყოფს ამ თანამდებობაზე ტრადიციულად მაღალი კონკურენციის არსებობას. უნივერსიტეტების შემთხვევაში ამ შეზღუდვის დაწესება აშკარად არათანაბარ პირობებში აყენებს სახელმწიფო უნივერსიტეტებს სხვა კერძო უმაღლეს დაწესებულებებთან შედარებით, რომელთაც არც შეზღუდვები აქვთ დეკანის

არჩევაზე და არც თანამდებობრივი სარგოს შეზღუდვით სარგებლობენ.

აქვე, აქამდე მოქმედი რეგულაციით თსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის დეკანს, თუ ის არის აკადემიური პერსონალი, აკადემიური პერსონალის თანამდებობრივ სარგოზე არ განესაზღვრება დანამატი. ეს ნიშნავს იმას, რომ დეკანად არჩევის შემთხვევაში სრული, ან ასოცირებული პროფესორი მიიღებს მაქსიმუმ 1300 (სრული პროფესორის შემთხვევაში), და მინიმუმ 880 ლარს (ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში). მსგავსი ანაზღაურება აუცილებლად შექმნის კორუფციისთვის ხელსაყრელ პირობებს.

საკითხი 5. ასისტენტ პროფესორებისთვის კვალიფიკაციის შეცვლა და ასისტენტის თანამდებობის შემოღება.

კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ აკადემიურ პერსონალს ემატება კიდევ ერთი აკადემიური თანამდებობის მქონე პირთა კატეგორია - ასისტენტი, რომელიც „ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ან ასოცირებული

პროფესორის ხელმძღვანელობით“. ასისტენტ-პროფესორი, რომელსაც აქამდე ჰქონდა უფლება ყოფილიყო დოქტორანტი, ასევე მონაწილეობდა სასწავლო პროცესში. ახალი რედაქციით ასისტენტ პროფესორი აღარ შეიძლება, რომ იყოს დოქტორანტი. დოქტორანტს შეეძლება რომ გახდეს ასისტენტი, თუმცა აღარ შეეძლება, რომ მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მოქმედებს პროფესორის ხელმძღვანელობით.

კანონპროექტით არ არის დარეგულირებული დღეს უნივერსიტეტებში მოქმედი დოქტორის ხარისხის არმქონე (დოქტორანტი) ასისტენტ-პროფესორების საკითხი. ეს გარემოება, დიდი ალბათობით, გამოიწვევს პრობლემებს როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესში, ასევე - ფინანსური თვალსაზრისით. კერძოდ, ასისტენტ-პროფესორები, მათ შორის დოქტორის ხარისხის არმქონენი, დღეს მოქმედი კანონმდებლობით მონაწილეობენ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით

მეცადინეობებში. კანონპროექტი არ იძლევა პასუხს, ვინ უზრუნველყოფს იმ პროფესორების საქმიანობის განხორციელებას უნივერსიტეტში. ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „დოქტორანტი ასისტენტ პროფესორები“ შეიცვლიან სტატუსს და გახდებიან „ასისტენტები“, მათ აღარ ექნებათ სალექციო საათებით დატვირთვის უფლებამოსილება. შესაბამისად, გარდაუვალია, რომ შეიქმნება სიტუაცია, როცა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად უნივერსიტეტი იძულებული გახდება გამონახოს დამატებითი ფინანსები და გაზარდოს ან პროფესორების რაოდენობა, ან/და მოიწვიოს სპეციალისტები, რომლებსაც ასევე არ მოეთხოვებათ დოქტორის აკადემიური ხარისხის ფლობა. ამ გარემოების გათვალისწინებით კი ისმის ლოგიკური შეკითხვა: მაშინ, რა საჭიროა ამ ყველაფრის იმ ფორმით გადაწყვეტა, რასაც გვთავაზობს წარმოდგენილი კანონპროექტი? ზოგადად „ასისტენტის“, როგორც ინსტიტუტის შემოღება შეიძლება გამართლებული იყოს, მით უმეტეს, რომ

მსგავსი პრაქტიკა ბევრ დასავლურ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში არსებობს. პრობლემაა ყოველგვარი გარდამავალი ეტაპის გათვალისწინების გარეშე ხისტი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლითვისაც არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან მზად (მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით) და მთელ რიგ მიმართულებებზე შეიძლება რეალური პრობლემები გაჩნდეს ადამიანური რესურსების არარსებობის გამო. ასე მაგალითად, თსუ-ს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე 2012-2013 წლებში ასისტენტ პროფესორების მიერ სულ იკითხება კვირაში დაახლოებით 400 საათი. აქედან დაახლოებით 80 საათი იკითხება დოქტორის ხარისხის არ მქონე ასისტენტ პროფესორების მიერ. თუ ამ ასისტენტ პროფესორებს აღარ მიეცემათ სასწავლო პროცესის წაყვანის უფლება, გაჩნდება კვირაში 80 საათიანი, ხოლო სემესტრში საშუალოდ 1200 საათიანი ვაკუუმი, რომლის შევსება პრობლემატურია როგორც ადამიანური რესურსის მოძიების, ისე

ფინანსური რესურსის არსებობის თვალსაზრისით.

სხვა საკითხები.

სამწუხაროდ, შემოთავაზებული კანონპროექტი არ ეხება რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხს, რომლის დარეგულირება აუცილებელია უნივერსიტეტის მომავალი განვითარებისთვის და აკადემიური თავისუფლების სრული უზრუნველყოფისთვის. ეს საკითხებია, (ა) უმაღლესი განათლების დაწესებულებებში კვლევის წახალისება, (ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის კორექტირება იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს უნივერსიტეტების მოდერნიზება და განვითარება, (გ) რეგენტთა საბჭოს, როგორც ფინანსების მაკონტროლებელი ინსტიტუტის ფუნქციების შეზღუდვა და (დ) უნივერსიტეტის შემდგომი დეცენტრალიზაცია და ფაკულტეტებისთვის ფინანსური ავტონომიის მინიჭება.

შემოთავაზებულ კანონპროექტში წინ გადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნია

ფაკულტეტებისთვის ბიუჯეტის შემუშავების როლის ხაზგასმა 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში. თუმცა ეს ჩანაწერი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სწორედ ფაკულტეტები გახდნენ ბიუჯეტის მაკონტროლებელი ერთეულები. ამ მიმართულებით განათლების სამინისტროს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

რეკომენდაციები:

- საქართველოს განათლების სამინისტროს და პრემიერ მინისტრს:

- დააცადეთ უნივერსიტეტს და აკადემიურ საბჭოს თავად შეარჩიონ მომდევნო რექტორი. ეს ნიშნავს, რომ ალექსანდრე კვიციანი უნდა მიეცეს უფლება იყოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი 16 აგვისტომდე, სანამ ახალი რექტორი არ იქნება არჩეული აკადემიური საბჭოს მიერ.

- გააკეთეთ საჯარო განცხადება, რომ არ აპირებთ შეცვალოთ აკადემიური საბჭო და სხვა არჩევითი ორგანოები უნივერსიტეტებში, და ასევე არ აპირებთ ჩაერიოთ ნებისმიერი ფორმით რექტორის არჩევნების პროცესში.
- არ შეცვალოთ ადმინისტრაციის უფროსი თსუ-ს იურიდიული სტატუსის ლიკვიდაციის საფუძველით.
- შექმენით სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები, უნივერსიტეტის წინაშე არსებული რეალური პრობლემების მოსაგვარებლად, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავების გზით.
- დაიწყეთ კანონპროექტების შემუშავება, რომელიც გაზრდის უმაღლესი განათლების დაწესებულებებში კვლევის ხარისხს, გაამარტივებს უნივერსიტეტების მიერ შესყიდვების პროცედურებს, მოხსნის უნივერსიტეტის ბიუჯეტის

შედგენის პროცესზე და ადმინისტრაციაზე რეგენტთა საბჭოს კონტროლს და მოახდენს უნივერსიტეტს შემდგომ დეცენტრალიზაციას ფაკულტეტების ფუნქციების გაზრდის ხარჯზე.

- საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას:

- ამოიღეთ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ცვლილებიდან მე-7 მუხლის 1 პუნქტის 3⁴ ქვეპუნქტი (რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა პრემიერის მიერ)
- ამოიღეთ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ცვლილებიდან მე-15 მუხლის მე-2¹ პუნქტი (თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა)
- შეცვალეთ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ისე, რომ დეკანს გააჩნდეს აკადემიური ხარისხი, თუმცა კანდიდატები არ იყონ მხოლოდ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო

ერთეულის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

- არ შეცვალოთ მოქმედი განათლების კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ასისტენტ პროფესორს აქვს უფლება იყოს „დოქტორი, ან დოქტორანტი“.
- „ასისტენტის“ აკადემიური თანამდებობის შემოღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება გადადეთ უნივერსიტეტებთან კონსულტაციის ჩატარებამდე, რათა დაზუსტდეს რა სახსრებით მოხდება ამ აკადემიური თანამდებობის ფინანსური უზრუნველყოფა.

- საქართველოს პრეზიდენტს

- ზემოთ აღნიშნული ცვლილებების დაკმაყოფილების შემთხვევაში არ გამოიყენოთ ვეტოს უფლება, რათა არ მოხდეს საკითხის შემდგომი პოლიტიზაცია.
- ზემოთ აღნიშნული ცვლილებების პარლამენტის მიერ არ გათვალისწინების შემთხვევაში, გამოიყენეთ ვეტოს უფლება, რათა

საქართველოს მთავრობამ არ
მოახდინოს უნივერსიტეტის
საქმეებში ჩარევა.

GRASS
REFORMANDA

